# მალე ქართულ «ერალაშში» გადაიღებენ

*პირველი არხის რუსული საინფორმაციო პროგრამის „ვესტნიკის" წამყვანი* ***ლალი მოროშკინა*** *თურმე სამეცნიერო მუშაობასაც ეწევა და უმაღლეს სასწავლებელში რუსული ენის კურსსაც კითხულობს. ორი შვილის, 14 და 2 წლის ვაჟების 31 წლის დედას, მშვენიერ, გემოვნებით მოწყობილ სახლში ვესტუმრე.*

*ცოტ-ცოტა „წავიჭორავეთ" და ინტერვიუც გამოცხვა.*

— **გავიგე, რომ სექტემბერში შეიძლება ახალ ამპლუაში მოეველინოთ მაყურებელს?**

— კინოში მიმიწვიეს. ალბათ სექტემბერში გამოვა პირველი ქართული „ერალაში" — „მაცაცერა", რომელიც ვფიქრობ, ყველას ძალიან მოეწონება. ჯერჯერობით, მზადების პროცესშია მეორე ფილმი, რომელსაც გუგული მგელაძე იღებს. მასში მე და გივი სიხარულიძე აფერისტი ცოლ-ქმრის როლს ვთამაშობთ.

— **სამეცნიერო სფეროში როგორ მიდის შენი მუშაობა?**

— დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია. იქნებ დღეს ბევრი ფიქრობს — ეგ ვის რაღაში სჭირდებაო, მაგრამ მე ასე არ მიმაჩნია, — ამის დროც მოვა. სულ ტელევიზიაში ხომ ვერ ვიმუშავებ, არსებობს ასაკობრივი ცენზი და კიდევ ისიც გასათვალისწინებელია, რომ მაყურებელს თავი არ უნდა მოაბეზრო.

— **ხმაურიან ცხოვრებასა და სამეცნიერო მუშაობას ერთმანეთს ადვილად უთავსებ?**

— ყოველთვის ასე ვცხოვრობდი. ერთი ღამე სულ ცეკვაში შემიძლია გავატარო, მეორე დღეს კი სერიოზულ თემებზე ვიმუშაო. მაქვს დევიზი: ის, რაც შეიძლება იყოს საუკეთესო, არ უნდა იყოს ცუდი ან საშუალო... ფრიადზე დავამთავრე სკოლაც და ინსტიტუტიც და საერთოდ, დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ განათლებას.

— **შენს არაჩვეულებრივ იუმორზე ბევრს ჰყვებიან.**

— იუმორის გარეშე სიცოცხლე წარმოუდგენელია. პირდაპირ ეთერში მუშაობაც განაპირობებს ჩემს ღიმილიან ცხოვრებას. ერთხელ მე-2 არხის მე-2 საინფორმაციო პროგრამის დაწყებამდე დამირეკეს და მითხრეს — საინფორმაციოს წამყვანი დათვრა და სასწრაფოდ უნდა მოხვიდეო. ისე მოხდა, რომ ბარიდან სულ ახალი მისული ვიყავი ტელევიზიაში, მეც კარგა შექეიფიანებული გახლდით, მაგრამ კოლეგას ხომ ვერ ვუღალატებდი. მივედი. მთელი ძალ-ღონე მოვიკრიბე, ვცდილობდი, არაფერი შემშლოდა. ბოლოს ასეთი წინადადება მქონდა სათქმელი: „თეთრ სახლს ჰყავს ახალი დიასახლისი — ლაურა ბუში". ამის ნაცვლად კი, რომ იცოდე, რა ვთქვი, — თეთრ სასახლეს ახალი დიასახლისი ჰყავს, ლაურა ეშლი-მეთქი. „ქარწაღებულნის" პერსონაჟები არასდროს გამხსენებია, იმ დღეს რა მეცა, თავადაც არ ვიცი. ჩემს ნათქვამზე თვითონვე ამივარდა ისტერიკული სიცილი.

— **თავისუფალი დროის ორიგინალურად გატარების იდეას ბევრი გიწონებს. ახალ საღამოს ხომ არ გეგმავ ამ ვერანდაზე?**

— ვერანდაზე არა. იმდენ ხალხს ველარ გაუძლებს. ალბათ რესტორნებში გადავინაცვლებ. ძალიან მიყვარს მეგობრებთან ერთად მოლხენა. ცეკვა, კარგად ვცეკვავ ბოშურს, ამიტომ საღამოებზე თუ ბოშური ჰანგები გავიგონე, მყისვე საზოგადოების ყურადღების ცენტრში ვექცევი. მეუღლეც სუხიშვილების ანსამბლის ყოფილი მოცეკვავეა და ჩემი გატაცება მისთვის სავსებით გასაგებია. საუკეთესო მოგონებებად ალბათ ეს მშვენიერი საღამოები შემოგვრჩება.

— **ვიცი, რომ ახლახან პარიზში იმოგზაურე, უახლოეს მომავალში საით გაქვს გეზი აღებული?**

— როგორც კი შევძლებ, მოსკოვში გავიქცევი. ძალიან მიყვარს, იქ ჩემთვის ყველაფერი ახლობელია. მოსკოვში არის ის, რასაც ვერც ევროპასა და ვერც ამერიკაში ნახავთ.

— **როგორც თალეს შონიას აღზრდილი, ორიოდე სიტყვით ხომ ვერ გაიხსენებდი მას?**

— შეუძლებელია თალესი ორი სიტყვით გაეიხსენო... იმის თქმაც მიჭირს, გარდაიცვალა-მეთქი. თალესი, უბრალოდ, სხვაგან წავიდა, მაგრამ მაინც ჩვენ გვერდითაა, განსაკუთრებით, გაჭირვების ჟამს. თალესი იყო ძალა, რომელიც ჩვენს ოჯახს აერთიანებდა. კეთილი ჯადოქარი იყო. მახსოვს, როგორ მეშინოდა თვითმფრინავით მგზავრობისა. ერთხელ თალესმა მითხრა, ყოველთვის ანგელოზები დაგიფარავენ, უშიშრად იფრინეო. ამიტომაც, მისი ნასვლის შემდეგ, პირველად თვითმფრინავში ასვლისას ტირილი დავიწყე. სენტიმენტალური სულაც არა ვარ. უბრალოდ, თალესი გამახსენდა და კითხვა გამიჩნდა, არიან თუ არა ჩემ გვერდით ანგელოზები? — არიან. ისინი მფარველობენ ჩვენს ოჯახს, ისევე როგორც თალესი. სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში გვეუბნებოდა, გარდაცვალების შემდეგ უფრო ბევრს გავაკეთებ თქვენთვის, ვიდრე სიცოცხლეში ვაკეთებდიო. იქნებ ვინმეს გაეცინოს კიდეც ამ სიტყვებზე, მაგრამ მე ღრმად მწამს — თალესის დადებითი ენერგიისა, რომელიც არასოდეს ქრება.

*ეკა ლომიძე*

დასვენება ოჯახით შავ ზღვაზე



რეალურ ფასად
(ურეკი,
ყოფილი მე-4
სამმართველო,
ადგილები
შეზღუდულია)

ტელ:
8 93 31 38 69

## ორშაბათი 27 აგვისტო

კვირის პალიტრა

[illegible]

## სამშაბათი 28 აგვისტო

[illegible]

## ოთხშაბათი 29 აგვისტო

[illegible]

## ხუთშაბათი 30 აგვისტო

[illegible]

## პარასკევი 31 აგვისტო

[illegible]

## შაბათი 1 სექტემბერი

[illegible]

## კვირა 2 სექტემბერი

[illegible]

ფრთხილად!

რეკლამას ზოგჯერ შეუძლია გაყიდვინოთ ისის, რაც თქვენ ნამდვილად არ გჭირდებათ!

რეკლამა „კვირის პალიტრაში" 33-78-07

# შეიძლება ლელას და ლიალიას მესამე ტყუპისცალიც გაუჩნდეს...

*სერიალი „ძილის წინ" მოსწონს მაყურებელს. განსაკუთრებული სიმპათია ხვდა* ***ეკა კახიანის*** *გმირებს — ჯერ ლელა დეკანოსიძეს, ხოლო შემდეგ, ლიალია ვაჩნაძეს.*

— ლელა გადასაღებ მოედანზე შეიქმნა, — ამბობს ეკა, — ალბათ, სხვა სახელი რომ რქმეოდა, თუნდაც თამრიკო ან ქეთი, ეს ტიპი არ დაიბადებოდა. რატომღაც, ამ სახელმა განაპირობა ყველაფერი. რაღაც ისე განსაკუთრებულად წარმოვთქვი „ლელა", რომ ბასა ფოცხიშვილს მოეწონა და მითხრა, — იქნებ ამ ხასიათში სცადო გმირის ჩამოქნაო. მეტყველებიდან გამოიკვეთა ხასიათი, ჟესტიკულაცია, პლასტიკა და ლელაც იშვა!

— **რომელი გმირი უფრო მოგწონთ?**

— ლელა მთლიანად მოგონილი და შეთხზულია. მე თვითონ ქალის ეს ტიპი ძალიან მაღიზიანებს — ამბიციური, პროვინციელი, საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა აქვს, ცოტა ფულიც იშოვა და ჰგონია, ყოვლისშემძლე ვარო. ვფიქრობ, მის მიმართ ჩემს დამოკიდებულებას ზუსტად გადმოვცემ. ლიალიაჩკა ძალიან მომწონს. მინდოდა მეორე პერსონაჟი შემექმნა, რადგან ვშიშობდი, ვაითუ, ლელამ მაყურებელი გააღიზიანოს-მეთქი, მაგრამ პირიქით მოხდა. ისე, ზოგს ლელა მოსწონს, ზოგს — ლიალია. ახლა მეუბნებიან, რახან გამოგდის, მიდი, მესამე ტიპიც სცადეო. სიმართლე გითხრათ, ჯერჯერობით, ზუსტად არ ვიცი რას ვიზამ, ისე, ვფიქრობ, როგორი ხასიათი შეიძლება შევქმნა.

— **როგორ იქმნება სცენარი? თქვენთან, სერიალში ხშირი სტუმრები არიან პოლიტიკოსები, ადვილია მათთან მუშაობა?**

— სცენარი იწერება გადაღების დღეს, იმ წუთისთვის მნიშვნელოვანი პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი მოვლენის გათვალისწინებით, ამიტომ ყველაზე „საჭირო" პოლიტიკოსი მოგვყავს... ისინი დიდი სიამოვნებით გვეთანხმებიან და საკუთარი ტექსტით მოდიან.

— **ბუნებრივია, ასეთ მხიარულ სერიალს სასაცილო შემთხვევებიც ახლავს თან.**

— ერთი შემთხვევა მინდა გავიხსენო. ცოტა ხნის წინ ქუთაისში ვიყავით. წასვლის წინა საღამოს ლიალიას ასეთი ტექსტი ჰქონდა: „იცით, წუხელ დამესიზმრა, ვითომ ქუთაისში ვიყავი. მე და თემურ შაშიაშვილი მთელი ღამე ბულვარში „პოდრუჩკით" ვსეირნობდით. მე ვეუბნები, — კარგი, თემურ, დამანებე თავი, შენს საქმეებს მიხედე-მეთქი". ჩავედით, შევხვდით თემურ შაშიაშვილს. მე ძალიან მორიდებულად ვზივარ. უცებ ბატონი თემური მომიბრუნდა და მეუბნება: „აბა, რას იტყვი? ხომ არ გაგვესეირნა ბულვარში, სიზმარი რომ აგიხდესო". ბევრი ვიცინეთ.

— **ჯერ კიდევ ლელამდე თქვენ მიერ გახმოვანებული ელენე თევდორაძის თოჯინა ძალიან პოპულარული იყო.**

— თამრიკო ბართაია მაშინ „დიდების ზღაპრის" სცენარისტი იყო. მე ჯერ კიდევ „მზიურში" ვაკეთებდი სხვადასხვა მომღერლის პაროდიებს. ეტყობა, ეს ახსოვდა და შემომთავაზა თანამშრომლობა. როგორც ლელა დაიბადა უცებ, ასევე უცებ ავიღე ტექსტი გადასაღებ მოედანზე და დავიწყე ელენე თევდორაძის ხმით ლაპარაკი. ეს თოჯინა მართლა მოსწონს ხალხს და, რაც მთავარია, თავად ქალბატონ ელენესაც.

საერთოდ კი, ჩემი ასეთი ტელეპოპულარობა სტუდია „აუდიენციის" დამსახურებაა...

*მაია გოგსაძე*

კვირის პალიტრა
გზა
N34(63) 23/VIII.-29/VIII.2001, ფასი 60 თ.
ილიკო სუხიშვილი მონასტერში წავიდა
გვანცას მკვლელი პროკურორს ულტიმატუმს უყენებს
SE BUSCA
იძებნება
JOSE ALEJANDRO MARTINEZ
C.I. V- 18.261091
ALIAS "EL NINERO"
დამწვარი ქმარი არ მიმიტოვებია, მე უმადურობის მსხვერპლი ვარ
ჟურნალი თქვენთვის!